არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი
უსაფრთხოების
სფეროს მკვლევართა
ასოციაცია

Non-entrepreneurial (Non-commercial)
Legal Entity
SECURITY
RESEARCHERS'
ASSOCIATION

საკონტ. ტელ. (+995) 599 110 541; info@usma.ge ; usma.association@gmail.com ;

№ 15/12-21

23 დეკემბერი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანს,

პროფესორ რუსუდან ქუთათელაძეს

გამოხმაურება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე

უპირველეს ყოვლისა მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ საშუალება მომეცით გავცნობოდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას „საჯარო მმართველობა".

ზედმეტად მიმაჩნია იმაზე აქცენტირება, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის მაღალკვალიფიციური კადრები ისეთ სფეროში, როგორიცაა სახელმწიფო მმართველობა და მშენებლობა. სამწუხაროდ ეს სფერო ჯერ კიდევ განიცდის საქმის მცოდნე და ქვეყნის ერთგული კადრების ნაკლებობას.

მისასალმებელია, რომ თქვენ, 2012 წლიდან წარმატებით ახორციელებთ აღნიშნულ სადოქტორო პროგრამას და უკვე 100-ზე მეტი საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი გყავთ მომზადებული.

მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულთა შორის ყველამ ერთნაირად ვერ გამოიჩინა თავი, ყველა ნაშრომი ვერ იქნება ერთნაირი შეფასების ღირსი, მთავარი მაინც ის არის, რომ ასეთი შთამბეჭდავი რაოდენობის ახალგაზრდამ შეძლო სამი წლის მანძილზე ჩაეტარებინა დამოუკიდებელი კვლევა და ჩამოეყალიბებინა სადისერტაციო ნაშრომი. თუმცა ბევრია მათ შორის ისეთი, რომელთა წინადადებები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არა მარტო საჯარო მმართველობის, როგორც მეცნიერების განვითარების, არამედ სახელმწიფო თუ საჯარო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში.

არც ის არ არის შემთხვევითი და ნაკლებად დასაფასებელი, რომ დღეს საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში პროფესორთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი სწორედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის დოქტორანტურის კურსდამთავრებულია. კურსდამთავრებულთაგან ერთერთი პირველი

კურსდამთავრებული ნათია გოცაძე კი სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯის“ დამფუძნებელი და რექტორია.

მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო პროგრამა, რომელიც 2012 წელს იყო აკრედიტებული და ფრიად საგულისხმო შედეგებზე გადიოდა, დღეს სახეცვლილია, ავტორებმა გაითვალისწინეს მათ მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, ასევე საინტერესოა ის ცვლილებაც, რომ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით არჩევით საგნებში შეტანილია 2 თანამედროვე დონის საგანი, რომლის შესწავლაც ინგლისურ ენაზე არის შესაძლებელი. ჩანს ტენდენცია შემდგომი განვითარებისთვის.

მიმაჩნია, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის განხორციელებას მყარი საფუძველი აქვს შექმნილი და ის მხოლოდ დადებით შედეგებზეა ორიენტირებული.

უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა

ასოციაციის თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი,

მეცნიერებათა დოქტორი ბესიკ ობოლაძე